

# მეცნიერება

მწვეთსმან კეთილმან სული  
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის  
იონ. 10—11.

17338

№ 3

1883—1910 წ.

15 თებერვალი

## ზ ი ნ ა ა რ ს ი.

**სალიტერატურო განყოფილება:** საქართველოს ექსარხოვები. დევ. დ. ლამბაშიქისა.—უნაყოფო ლედის ხე, თარგმანი მლ. ლუკიანოვისა.—სახარება მათესი თავი მეოთხე.—ეპისკოპოსი კირიონი და ვოსტროგოვი.—ერიდეთ რუპესტრისს! რაფიელ ჩიხლაძისა.—ღია წერილი ფოთის კერძო სასწავლებლის გამგეს მირიან ბასილიას.—ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადებანი.

### საქართველოს ექსარხოვები

საქართველოს ახალი ექსარხოვნი, მთავარ-ეპისკოპოსი ინოკენტი, სწორედ მეთექვსმეტე ექსარხოვია, რაც საქართველოში ექსარხოვები ინიშნებიან. საქართველოს 1-ლ ექსარხოვად იყო დანიშნული ვარლამი (თავადი ერისთავი) 1811 წ. დღევანდელი ქართლის ეპარქია მაშინ განიყოფებოდა 2 ეპარქიად: მცხეთა-ქართლისა და კახეთის ეპარქიებად. მთავარ-ეპისკოპოსი ვარლამი ექსარხოვობდა 1818 წლამდე და ამ უკანასკნელ წელში კი რუსეთში გაიწვიეს. ვარლამის შემდეგ დაინიშნა ექსარხოვად თეოფილაქტე (რუსანოვი, რომელიც ექსარხოვობდა სულ 4 წელიწადი). თეოფილაქტე 1821 წელში გარდაიცვალა და მის შემდეგ დაინიშნა იონა, გვარად ფასილიევესკი. იონა ექსარხოვობდა 11 წ. და მეთერთმეტე წელიწადს გარდაყვანილ იქნა საქართველოდამ რუსეთში. 1832 წ. დაინიშნა ექსარხოვად მოსე, გვარად ბოდანოვი და ორ წელიწადს დარჩა ექსარხოვად. 1834 წელში იგიც გარდაყვანილ იქნა რუსეთში. 1834 წლიდამ საქართველოში იყო ექსარხოვად დანიშნული ევგენი, გვარად ბაქანოვი და დარჩა ექსარხოვად 1844 წლამდე. იგი ექსარხოვობდა 10 წელიწადი. შემდეგ ევგენისა

დაინიშნა ისიდორე, რომელიც დარჩა საქართველოში ექსარხოვად 14 წელიწადი, 1858 წლამდე. ისიდორემ საქართველოშივე მიიღო მიტროპოლიტობა და აქედან გარდაყვანილ იქნა კიევის სამიტროპოლიტო კათედრაზე. ისიდორეს შემდეგ 1858 წ. საქართველოს ექსარხოვად დაინიშნა მთავარ-ეპისკოპოსი ვესევი, რომელიც ექსარხოვობდა 20 წელიწადი, ე. ი. 1878 წლამდე. ამ წელში გარდაყვანილ იქნა ტვერის ეპარქიაში. 1878 წ. საქართველოს ექსარხოვად დაინიშნა მთავარ-ეპისკოპოსი ნიეფგოროდიშა იონანიკე, რომელიც 1882 წელში გარდაყვანილი იქნა მიტროპოლიტად მოსკოვში. 1882 წელში საქართველოს ექსარხოვად დანიშნულ იქნა კიშინიევის მთავარ-ეპისკოპოსი პავლე, რომელიც 1887 წელში გარდაყვანილ იქნა ყაზანში. 1887 წ. საქართველოს ექსარხოვად დაინიშნა ყაზანის მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი, რომელიც 1892 წელში გარდაყვანილ იქნა პეტერბურგის სამიტროპოლიტო კათედრაზე. ამ წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს ექსარხოვად დაინიშნა სამარის ეპისკოპოსი ვლადიმირი, რომელსაც დაინიშნისათაინავე ებოძა მთავარ-ეპისკოპოზობა.

ოთხი წლის შემდეგ ვლადიმირი დაინიშნა მოსკოვის მიტროპოლიტად.



ვლადიმირის შემდეგ ექსარხოსად დაინიშნა ჩვენს საქართველოში ფლაბიანე, ვარშაის არხი-ეპისკოპოსი, რომელსაც ჩვენში დიდხანს არ უმსახურნია. ფლაბიანე გარდაყვანილ იქმნა ხარკოვის ეპარქიაში.

შემდეგ ფლაბიანისა საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა ალექსი, ვიატკის ეპისკოპოსი, მაგრამ ისიც მალე იქმნა გარდაყვანილი ტვერის ეპარქიაში.

შემდეგ ალექსისა ექსარხოსად დაინიშნა საქართველოში მთავარ ეპისკოპოსი ნიკოლოზი, რომელმანაც თავი დაანება თავისა სურვილით საქართველოში მსახურებას და ვლადიმირის ეპარქიაში დაინიშნა მთავარ ეპისკოპოსად.

შემდეგ ნიკოლოზისა დაინიშნა ექსარხოსად ნიკონი. მთავარ ეპისკოპოსი ნიკონი მაისის თვეში ბოროტი პირებისაგან მოკლულ იქმნა კანტორის შესავალ კიბეზე თფილისში.

შემდეგ ნიკონისა მთავარ-ეპისკოპოსის ექსარხოსის თანამდებობას ასრულებდა მეორე ვიკარი, ბაქოს ეპისკოპოსი გრიგორი და ორი თვით ექსარხოსობის თანამდებობას ასრულებდა ყ-დ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი. დეკემბრის თვეში დაინიშნა ტამბოვის ეპისკოპოსი ინოკენტი, რომელიც კიდევ მობრძანდა თფილისში იანვრის 25 რიცხვს.

ამ შემთხვეულიდამ სჩანს, რომ საქართველოს საექსარხოსო კათედრაზედ 1801 წლიდამ დღემდე დაინიშნულა თექვსმეტი სხვა-და-სხვა ექსარხოსები და მეთოთხმეტე ექსარხოსად ბრძანდებოდა დღეს მთავარ ეპისკოპოსი ინოკენტი. ღმერთმან კეთილი ქმნას მისი დაინიშნა საქართველოს ეკლესიისათვის.

ვერავენ იტყვის, რომ საქართველოს ეკლესიის ქრისტეს ყანაში სამუშევარი აღარა იყოს-რა და ამისთვის ახალ ექსარხოსებს დიდი შრომა და გამპირიანობა არ ეჭირებოდესთ. ვინც საქმეს სწორედ და მიუდგომლად უყურებს, ვისაც ჩვენი ეკლესიის მდგომარეობა გამოუკვლევია, ის ყოველთვის დაგვეთანხმება, რომ საქართველოს ქრისტეს ყანაში დიდი შრომა მოელის მწყემსთ-მთავართა მწყემსთა და უმეტესად კიდევ შეტათ-მათ გამგეთა და მმართველთა.

მართალია ეხლანდელი საქართველოს მწყემსთა და სამწყსოთა გონებითი, ზნეობითი და ნივ-

თიერა მდგომარეობა ძლიერ განსხვავდება პირველი ექსარხოსების დროის მწყემსთა და სამწყსოთა მდგომარეობისაგან. მართალია, ბევრში ძლიერ წინ წავიწიეთ, მაგრამ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრშიაც უკან ჩამოვრჩით და დავიქვეითეთ. ფარისევლოურმა ცოცხა ძლიერ დაამყავა ჩვენი ეხლანდელი საზოგადოების ცხოვრება. ადვილად ივიწყებენ ქე-შმარიტებას და ქრისტიანული ზნეობის და ცხოვრების სახარების მცნებებს...

ბევრი რამ ცადეს, ბევრი რამეები მოიფიქრეს და დღესაც კიდევ ბევრ რამეს ფიქრობენ, რომ კეთილად წარემართოს ჩვენი საქმე, აღდგინდეს ძველებურად სარწმუნოება და ქრისტიანული კეთილ-ზნეობა, მაგრამ - სანუგეშო მოვლენათა ვერ ვხედავთ. გავრცელდა ქადაგებითი სატყუარ, თუ სოფლებში არა, ქალაქებში მაინც, გადადის ძველი თაობა სამღვდლოებათა, რომელთაც აბრალებდენ ბევრს რამეს სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობის დასუსტების შესახებ!.. გამრავლდენ სემინარიელი „კურსოვნიკები“ და ქალაქებში უმადლესი სწავლის მიმღები ღვთისმეტყველების კანდიდატები, გავრცელდა სამისიონერო ძმობანი, რომელნიც ბევრს პირდებიან ხალხს, მაგრამ ჯერჯერობით დიდს სანუგეშოს ვერას ვხედავთ, ნაყოფი არა სჩანს, თუ იმას არ ჩავთვლით ნაყოფად, რომ ამ სამისიონერო ძმობათა ზოგიერთი მისიონერები და-წინაურდენ და დაჯილდოვდენ...

გასაოცრად ვრცელდება სარწმუნოების გულგრილობა და ქრისტიანული ზნეობა სუსტდება. მიზეზი ყველა ამ სამწუხარო მოვლენათა რაშია? რა გვაკლია და რა გვაბრკოლებს? ჩვენის აზრით, ჩვენ გვაკლია ის, ურომლისოდაც არავის სარგებლობის მოტანა, საქმის გაკეთება და სამსახურის გაწევა არ შეუძლია არც სასულიერო და არც საერო წოდების სამსახურში. დიად, ჩვენ გვაკლია ქრისტესა გან ნაანდერძევი სიუფარული. მოციქული პავლე იტყვის:

ენასადა თუ კაცთასა და ანგელოსთასა ვიტყოდე, ხოლო სიყვარული არა მქონდეს; ვიქმენ მე, ვითარცა რვალი რომელი ოზრინ, გინდა წინწილი, რომელი ჰხმობედ.

და მაქნდესლათუ ა) წინასწარმეტყველება და უწყოდე ყოველი საიდუმლო და ყოველი მეცნიერება, მაქნდესლათუ ყოველივე სარწმუნოება, ვიდრე მათაცა ცვალებადმდე, და სიყვარული თუ არა მაქნდეს; არავე რა ვარ.



ბ) და შედათუ ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცე ხორცი ჩემნი დასაწველად და სიყვარული არა მაქენდეს; არა რავე სარგებელ არს ჩემდა.

ა) სიყვარული სულ გრძელ არს და ტკბილ, სიყვარულს არა ჰშურს, სიყვარული არა მალდობს, არა განლაღნის.

არა სარცხვენელ იქმნის, ბ) არა ეძიებნ თავისასა, არა განპრისხნის, არად შეპრაცხნის ბოროტი.

არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა.

ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი რწამნ, ყოველსა ესავნ

გ) ყოველსა მოითმენნ.

სიყვარული არა სადა დავარდების.

ცხადათ და ნათლად სჩანს ზემო მოყვანილი მოციქულის სიტყვებიდან, რომ თუ ეს სიყვარული არა აქვს კაცს, მისი სწავლა მეცნიერება მისი გამოცდილება და მრავალი ენების ცოდნა უსარგებლო და ფუჭია.

ახალმა ექსარხოსმა მთავარ ეპისკოპოსმა ინოკენტიმ თავის პარველ სიტყვაში გამოსთქვა ის აზრი, რომ იგი „მთელ თავის ძალ-ლონეს მოანდომებს ქრისტეს ძირითადს და დიდებულ იმ მეცნიერების განხორციელებას, რომელზედაც ზემოთ ვსთქვით, რადგან ქრისტიანობის წინაშე ბრძანა მათმა მეუფებამ: არ არის ურია, არც ელინი, არც ბარბაროსი, არც ბატონი, არც მონა. ჩვენ ყველანი ერთი ვართ და ყველანი უნდა ვცდილობდეთ ქრისტეს მოძღვრების შეთვისება—განმტკიცებას და განხორციელებას“. ამ მრავალ მნიშვნელოვანმა სიტყვებმა დაბადა დიდი სიხარული და იმედები ყველას გულში.

ყველა მწყემსნი მოვალენი ვართ ნათლად დავანახოთ საქმე მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, ყველა უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენში დაარსდეს ეს ქრისტიანული სიყვარული, ერთობა და ძმური კავშირი; წინააღმდეგ შემთხვევაში ფუჭი იქნება ჩვენი შრომა და არ მოიტანს არავითარს სარგებლობას. იქ, სადაც წრფელი ქრისტიანული სიყვარული არ არის, იქ, სადაც ერთობრივი ქრისტიანული ძმობა და დამოკიდებულება არ სუფევს, ნიადაგ უხვად აღმოცენებულა ღვარძლი, დათესილი ეშმაკთაგან ქრისტეს ყანაში და შეუშვითათ კეთილი ნაყოფი. გულთ და სულით ვისურვებთ, რომ

საქართველოს ახალ ექსარხოსა და ჩვენ,-მის სამწყსოთა შორის დაარსებულ იყოს ეს ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულობა ღვთის სადიდებლად, ეკლესიისა და მამეულის სასარგებლოდ და სანუგეშოდ მწყემსთა და სამწყსოთა.

☩

დეკ. დ. ლამბაშიძე.

### უნაყოფო ლეღვის ხე.

იერუსალიმში, მწიგნობართა და ფარისეველთა ქალაქში, იესო ქრისტე ვერა გრძნობდა თავის თავს უშიშრად. დღისით მრავალ-რიცხოვან ხალხში, რომელიც მოწიწებით ყურს უგდებდა მაცხოვრის სწავლას, რა თქმა უნდა, ვერც ერთი თავხედი კაცი ვერ გაბედავდა ხელი შეეხა მისთვის, რომელიც ჰკურნავდა სნეულებს და ნუგუმ-სცემდა მწუხარებებს; მაგრამ ლამის სიბნელეში, როდესაც მიბინავებული ხალხი ძილს მიეცემოდა, სინედრიონის წევრების ბოროტებას აღვილად შეეძლო ვნება შეემთხვია იესოსთვის. ამისთვის მაცხოვარი, იერუსალიმში ყოფნის დროს, ლამ-ლამობით ჩვეულებრივ მიდიოდა ხოლმე ბეთანიაში, რაზარეს სახლში. აქ, ერთგულ მეგობართა შორის, იესოს შეეძლო დამშვიდება და უშიშრად დასვენება დღიური ღვაწლის შემდეგ. ასე მოხდა ბზობის შემდეგაც, მის ვნებათა წინ. იესომ მთელი დღე გაატარა ტაძარში, ასწავლიდა ხალხს, ჰკურნავდა ავადმყოფებს; შემდეგ დაანება იმათ თავი, წამოვიდა ქალაქიდან ბეთანიაში და იქ გაატარა ღამე. დღით, როდესაც იერუსალიმში ბრუნდებოდა, იესოს მოშივდა, დაინახა გზისპირას ლეღვის ხე, მივიდა მასთან, ვერა ნახა იმაზედ ნაყოფი, გარდა მარტო ფოთლებისა, და უთხრა მას: „**ნუღაჲა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ**“ და განსმა ლეღვი იგი შეესუფლად. (მათ. 21, 19)

ზოგიერთ მკია ხველებში სახარების ეს ადგილი იწვევს გაუგებრობას. „რატომ მოექცა მაცხოვარი ესე სასტიკად ლეღვის ხეს?—ჭვიქრობენ იგინი. განა ლეღვის ხე იყო დამნაშავე, რომ იმას ნაყოფი არ



ჰკონდა? იგი ხომ ისეთი იზღებოდა, როგორც გააჩინა უფალმა. განა ეს გარდამეტებული სისასტიკე არ არის—უსულო ხის ასეთი დასჯა?"

გულ-დადებით ჩაუფიქრდეთ სახარების მოთხრობას. არაფერს უბრალოს, რამეს უაზროს, მით მომეტებულად რაიმე სიმკაცრეს, მაცხოვარი არასოდეს არ სჩადიოდა.

სახარების მოთხრობაში შობიდან ბრმის განკურნაზე არის ნათქვამი, რომ როდესაც მოწაფეებმა ჰკითხეს შობიდან ბრმის შესახებ, ვისი ცოდვებისთვის — თავისი თუ მშობლების ცოდვების გამო — ის იტანჯება? იესომ უპასუხა მათ: „არცა ამან სცოდა, არცა მშობელთა ამისთა, ანამედ რათა გამოსცხადნეს საქმე ღვთისა მაგას ზედა“ (იოან. 9, 3). იმავე იოანეს სახარებაში ორი თავით შემდეგ ჩვენ ვკითხულობთ: „ლაზარეს დებმა მიუღლინეს იესოს და რქვეს: უფალო! აჰა, რომელი გიყვარს, სწეულ არს“. იესოს ესმარა ესე, სთქვა: „ესე სწეულება ანა ანს სსსიკვდინე, ანამედ დიდებისთვის ღვთისა“ (იოან. XI, 2-4). ეგრეთვე დასჯა იესოს-მიერ ლეღვის ხისა არ არის უბრალო მისი გულის-წყრომის გამოცხადება, არამედ შთაგონებითი აღხნა ღვთის ნებისა.

საღმრთო წერილში ჩვენ ვკითხულობთ თვით უფლის ასეთ სიტყვებს: „აჰა ესე-რა ესდგა კარსა ზედა (გულისა შენისა), და ვრეკ: უკეთუ ვინმე ისმინოს ხმისა ჩემისა, და განალოს კარი, შევიდეს მისთანა, და ესქამო მის თანა სერი, და მან ჩემ თანა“ (გამოცხადება მ, 20). როგორც უბინაო მგზავრი თხოულობს თავ-შესაფარს, ხმა-მალა ყვირის: „შემიშვით“, ჰრეკს კარს და ფანჯარას, — ეგრეთვე უფალიც ეძებს ყოველნაირად შესვლას კაცის გულში თავის სიმატლით: აუწყებს ხალხს თავის ნებას, განუმარტავს კეთილი ცხოვრების სიკარგეს; არ ისმენენ მის სიტყვებს, აძლევენ მათ სასწაულებს. ერთი სიტყვით, ასე თუ ისე, უნდა რომ ჰკუთხებ მოიყვანოს ადამიანი, გაუღვიძოს მას სინიღისი, გონს მოიყვანოს იგი, ჩააფიქროს. ეგრეთვეა, რომ ღრმად დაძინებულებს, თუ ყვირილით და ხმაურობით ვერ გააღვიძებენ, ხელს ჰკრავენ, საწოლიდან წამოაყენებენ, ან ბოლოს, წყალსაც დაასხმენ.

მოკლა დავით მეფემ თავისი მსახური ურია და წაიყვანა მისი ცოლი-ვირსავია. კმაყოფილი თავისი გულის-თქმის სიამოვნებით, ის დამშვიდებულია გულში, არა სწუხს სვინიღისით. უფალი

უგზავნის იმას ნათან წინასარმეტყველს, და ეს აფხიზლებს დავითს იგავით მდიდარზედ, რომელმაც წაართვა ღარიბს მისი უკანასკნელი ბატკანი. იონა წინასწარმეტყველმა არ გაუგონა ღვთის მოწოდებას წასულიყო სინანულისა საქადაგებლად ნინეფიაში წარმართებთან, ჩაჯდა გემში და წავიდა სულ სხვა ადგილს. უფალი უგზავნის იონას სამხილებლად ქარი-შხალს. ქარის შხვილმა, ტალღების ცემამ, გატეხილი საყეების ხმაურობამ გამოაღვიძეს იონა, გემის ძირში მძინარე, და თითონ მას გაუღვიძეს, მის გულში ღრმად მძინარე, სინიღისი. ბაბილონის მეფემ ვალტასარმა, ნაღიმზე გალოთებულმა, აღარ იცოდა, როგორ უფრო მომეტებულად გამოეაშკარავებინა თავისი საძაგელი აურ-ზაური და უბრძანა მოეტანათ ლოთობაზედ სახმარებლად საღმრთო ჭურჭელი, იერუსალიმის ტაძრიდან მოტაცებული. მაშინ გამოსჩნდა ჰაერში ხელი, რომელმაც სასახლის კედელზედ, სიმთვრალისაგან გადარეული მეფისა და მისი სტუმრების თვალ-წინ, დასწერა ცეცხლის ასოებით მრისხანე სიტყვები, რომელნიც ნიშნავდნენ დანიელ წინასწარმეტყველის ახსნით: „ასწონა უფ-ალმა ვალტასარი, ნახა სუმბუქად და გაჰფანტა იგი, როგორც ბუმბული“. უცებ ყველანი გამოფხიზლდნენ, სიმთვრალე ყველას გამოუვიდა თავიდან

აი აგრეთვე ზემო მოყვანილ სახარების მოთხრობაშიაც გამხმარი ლეღვის ხის მაგალითით მაცხოვარს უნდა შეაგონოს იუდელებს, რომლებიც არ იგონებდნენ მის სიტყვებს. გასახმოებლად დასჯილი უნაყოფო ლეღვის ხე არის სახე ღვთიდან გამოჩეული ებრაელების ხალხისა, რომელიც ღვთის საქმეს უნდა მსახურებოდა, მაგრამ თავის კაცობრიული საქმის გულისთვის ღვთის საქმე დაივიწყა.

ლეღვის ხეს აქვს განსაკუთრებითი განსხვავება სხვა ხეებისაგან: მასზედ ნაყოფი უფრო ადრე გამოდის ფოთელზედ. ჯერ ნაყოფი მწიფდება და შემდეგ ხე იმსება ფოთლით. ნიშნავს, თუ ლეღვის ხეს ფოთლებით მწვანეთ გააქვს ბიბინი, მასზედ უსათუოდ უნდა იყვეს ნაყოფიც. ამ აზრით მივიდა იესო გზასთან მდგომ ლეღვის ხესთან.

თავისი მშვენივრად მობიბინე მწვანე ფოთლებით შორიდგანვე გამოსჩანდა ლეღვის ხე და იპყრობდა მგზავრების ყურადღებას, რომლებიც სტკებოდნენ მისი ლამაზი მორთულობით და ეგონათ, რომ მისი ტოტები დაკუნწილული იყვნენ ნაყოფით ხშირი



ფოთლის ქვეშ; მაგრამ აი შეემთხვა იესოს შიმშილი: მივიდა იგი ლეღვის ხესთან, რომ რამდენიმე ნაყოფი მოეწყვიტა, მაგრამ ვერა ნახა ვერც-ერთი. მაშ რა-ღათ სდგას ეს ლეღვის ხე? ტყუილ-უბრალოთ რა-ღათ სწუწნის დედამიწიდან ნოყიერებას, ისვამს წყალს, სნთქავს მზის სითბოს? ყველა ამაებს რა-ტომ ართმევს იგი სხვა ლეღვის ხეებს? იმეებს მო-აქვთ სარგებლობა, იძლევიან ნაყოფს; — ეს-კი ურგ-ებად ლუპავს ღვთიდან მიცემულ ძალებს-უმჯობესი იქნება გახმეს იგი, წავიდეს საწვავად, ან შენობაზე სახმარებლად; თუ ასე არა, უმჯობესია დაღბეს და გაანოყიეროს ნიადაგი სხვა მცენარეებ-ისთვის, ამისთვის იესო ეუბნება იმას: „ნულარა იყო-ფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ“. ლეღვის ხე მაშინ გახმა.

მაშასადამე, აქ არ არის უბრალო რისხვა, გარდა-მეტებული სასტიკობა; მაგრამ წავიდეთ იქით და ვნახოთ ახალი შთაგონებითი ახსნა ღვთის ნებისა. ებრაელები თავისი საკუთარი ხელებით იკრიფავდნენ თავის თავზედ ნაკვერცხლებს, — ემზადებოდნენ იმ-ის მოსაკვლელად, რომელიც მოვიდა მათი სინიდისის გამოსაფხიზებლად, მათი სულიერი და ხორციელი ძალების მოსაქცევად ღვთის საქმეზე. იესო თავისი სიტყვით, როგორც რაღაცა ცხოველი წყალით, სცდილობდა გაეცოცხლებინა მათი მომკვდარი სული, მოუწოდდა მათ ახალი ცხოვრებისადმი, მცნებებით და იგავებით უხსნიდა ღვთის სასუფეველის კანონებს, თავის თავს უყენებდა მათ მაგალითად. მის სწავ-ლას ყურს არ უგდებდნენ, თითონ მას დასცინოდნენ, ღვთის საქმეს წინ არ აყენებდნენ. ისინი პირით ლოცულობდნენ, მაგრამ მათი გული კი შორს იყო ღვთისაგან. სასტიკად ინახავდნენ მარბევებს, ერი-დებოდნენ შებილწულ საქმელს; აზრები და საქმე-ები-კი ჰქონდათ უწმინდური, უმართებულო. ატა-რებდნენ ფართო ტანთ-საცმელს, სული-კი ჰქონდ-ათ დაბალი, ბოროტი, მოქრთამე. იერუსალიმის ტაძარს ამკობდნენ მარმარილოთი, ოქროთი, ძვი-რფასი ქვებით; მათი სულის ტაძარი-კი იყო ავაზკთა ბუნაგად, საქონლის ეზოდ, გველის ბუდედ. გარე-გულად თითქოს სწანდნენ კეთილ ხალხად, მიაჩ-ნდათ თავიანთ თავი ღვთის ხალხად; ღვთის ნებას კი არ ასრულებდნენ, ქეშმარიტის ღვთის სახელს წარმართთა შორის არ აღიდებდნენ, ღვთიური სიმართლით მშიერთ არ აძლევდნენ სულიერ პურს.

ხალხი იყო უნაყოფო ლეღვის ხე. გარედგან ფო-თოლი მშვენივრად ბიბინებდა, ტოტებზედ-კი არს-ად ნაყოფი არ ჰქონდა. ამპარტავნობა ერთმანეთის წინაშე, სიძულვილი მტერთა მიმართ, უსირცხვილო ანგარება — ასეთია არსებობითნი თვისებანი ებრაე-ლების ხალხისა. როგორღა იქნება შემდეგ? როგორ წავა შემდგში ცხოვრება? უკანასკნელი დღეები იესოს გაჰყავს ებრაელებში, უკანასკნელად ელაპარაკება იმათ, გაკვეთილსაც უკანასკნელს აძლევს იმათ უნ-აყოფო ლეღვის ხით. „გახსოვდეს ღვთის ხალხო! — ეუბნება მაცხოვარი იუდეელებს. — აი უნაყოფო ლეღვის ხის მიხედვით არის შენი მომავალი ბედი. რანაირის სიყვარულით დაგრგო შენ უფალმა! რა-ნაირათ გიგლიდი მე, უხვად გრწყავდი შენ ცხოველი წყლითა წყაროსაგან საუკუნო ცხოვრებისა! რანა-ირის სიყვარულით გათბობდი შენ. მაშ მიეცი ღმერთს ნაყოფი შენი. აჩვენე ხალხს, როგორი უნდა იყვეს ადამიანის ცხოვრება, გამოაჩინე ქვეყნის წი-ნაშე სიმშვენიერე სულისა. არა?... არ იძლევი?... მაშ ნულარ იქნება შენგან ნაყოფი საუკუნოდ. რა-საჭიროა ლაპარაკი ყრუსთან და განათება ბრმასთან? უმჯობესია სიტყვა მიიქცეს სხვების მიმართ.“ „მო-უღეთ მაგას ქანქარი ეგე, და მიეცი თ მას, რომელსა აქვს ათი ქანქარი. რამეთუ ყოველს, რომელსა აქვდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქვდეს, და რომელღა იგი აქვდეს, მოეღოს მისგან“ (მათ. 25. 28-29). და განხმა ლეღვი იგი. ბოროტებამ გამოახმო ებრაელების გული, რომაე-ლებმა შემუსრეს იუდეველთა სამეფო. დაიღუპა იერუსალიმი და დაინგრა ტაძარი სიონისა. დასც-ვივდა მშვენიერი ფოთოლი.

ეხლა, მკითხველო, ებრაელებს თავი დავანებოთ და მივმართოთ ჩვენ თავს. მარტო მხოლოდ ებრა-ელებისათვის ხომ არ არის სახარება დაწერილი; შეიძლება, რომ უნაყოფო ლეღვის ხე მარტო ისინი არ იყვნენ. სახარებაში ნათქვამია, რომ ერთხელ მივიდნენ იესოსთან რომელნიმე და უამბეს მას გალილეელებზე, რომელთა სისხლი პილატემ შე-ურია მათ მსხვერპლებთან. იესომ უთხრა მათ ამაზე: „ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეელებნი ესე უფ-როს ყოველთა გალილეელებთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესე ვითარი ვენო მათ? გეტყვი თქვენ: არს; არამედ უკეთუ არა შეინანოთ, ეგრევე სახეთ ყო-ველნი წარჰსწყმდეთ. ანუ იგი, რომელ ათთვრამეტთა



ზედა სილამს გოდოლი დაეცა, და მოსწყვიდნა იგინი, ჰგონებთ, ვითარედ იგინი ხოლო თანამდგ იყვნეს უფროს ყოველთან კაცთა, რომელნი მკვიდრ არიან იერუსლიმს? გეტყვი თქვენ: არა; არამედ უკეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ“ (ლუკ. 13. 2—5).

ებრაელების ხალხი იყო უნაყოფო ლელვის ხე, და კადეც დაიღუპა იგი. დაიღუპნენ აგრეთვე ბევრი სხვა ხალხები უკვალოდ. სახელებიც-კი აღარ დარჩა იმათი, იმიტომ რომ არავითარი სიკეთით არ აღუნიშნავთ მათ თავიანთი არსებობა. საუკუნოა მარტო ღვთიური საქმე — ჭეშმარიტება, სიკეთე და სიყვარული; უკვალოდ დაღუპული ხალხები-კი, მიუხედავად მათი გარეგნული ბრწყინვალეობისა, დიდებისა და ძლიერებისა, იყვნენ ღარიბნი სიკეთით, იმათ არ იცოდნენ ჭეშმარიტება, ღვთიურ ცხოვრებაზე არც-კი ჰფიქრობდნენ, გული არა სტკიოდათ. იმას ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს ჩვენ არ გვცხება. არა, — ამბობს სიტყვა ღვთისა, — ყველანი ეგრევე დაიღუპებით, თუ არ შეინანებთ, თუ არ მოიტანთ კეთილ ნაყოფს. როგორც დაიღუპნენ ძველათ ებრაელები, ბაბილონელები, ასსირიელები, ასე უკვალოდ შეიძლება დაიღუპოს ჩვენი ხალხიც, თუ თავისი კეთილი ყოფა-ქცევით არ აჩვენებს სხვა ხალხებს მაგალითს ღვთიური ცხოვრებისას.

გაგრძელება იქნება

მღვდელი იოანე ლუკიანოვი.

**სახარება მათესი.**

თავი მეათე  
გაგრძელება\*)

მოციქულები მაცხოვარმა ამ ქადაგებაში შეადარა მარილს — თქვენ ხართ მარილი ქვეყნისა (13). როგორც მარილს აქვს თვისება დაამარილოს ყოველივე საქმელი, რომელსაც კი დაეყრება, შეინახოს ეს საქმელი წახდენისაგან და მისცეს მას კარგი და სასიამოვნო გემო, ისე ქრისტეს მოცი-

ქულებმა და აღმსარებლებმა უნდა დაიცვან და დაიფარონ ქვეყანა ზნეობითი წახდენისაგან და ღვთის სათნოდ ჰყონ კაცთა ცხოვრება და ყოფა-ქცევა; ხოლო თუ მოციქულები და მოძღვრები დაკარგვენ ზნეობითს ძალას და გავლენას ქვეყნიერებაზე, მაშინ ისინი არაფრისათვის გამოსადგენი აღარ იქნებიან, როგორც განქარვებული და ძალა გამოღეული მარილი. მოციქულებს მაცხოვარი ადარებს კიდევ ნათელთან. როგორც მნათობისგან გამოსული სინათლე ანათებს ქვეყნიერებას და ათბობს მას, ისევე მოციქულთა სიტყვებმა უნდა განდევნონ ბნელის წყველი და ყოველივე გამოაჩინონ ცხადად, მათმა სიტყვებმა და ქადაგებამ უნდა განაცხოველოს და გაათბოს ზნეობით და გონებით მომკვდარებულნი. როგორც შეუძლებელია, რომ კაცის თვალისაგან დაიმალოს და დაიფაროს მთაზე აშენებული ქალაქი, ისე შეუძლებელია დაფარვა და დამალვა მოციქულთა და ქრისტიანთა. ისინი უნდა ყველასგან იყვნენ ცნობილნი, მათ ყველა უნდა ხედავდეს. უყურადღებობით და დაუდევრობით მათ არ უნდა დაფარონ ქრისტეს ქადაგების ნათელი. როგორც სანთელს ანთებენ მისთვის, რომ მან გაუნათოს ყველას, ვინც ოთახშია, ისევე მოციქულებმაც უნდა საქვეყნოდ გამოიტანონ ქრისტეს სწავლამოძღვრების ნათელი რომ ყველა განათლდეს მისგან. ქრისტეს მოწაფეთა კეთილ საქმეთა მხილველნი დიდებას შესწირვენ ზეცათა მამას.

მოძღვრება მაცხოვრისა ძველი აღთქმის სჯულის შესახებ (17—20). იესო მაცხოვარი არ მოსულა ქვეყნად ძველი აღთქმის სჯულის და წინასწარმეტყველთა დასარღვევად, არამედ ის მოვიდა ამ სჯულის აღსასრულებლად, გასაუმჯობესებლად და შესავსებლად. მან აღასრულა ეს სჯული თავის ცხოვრებაში, განაცხოველა, განმარტა იგი სულიერად, აღსრულდა მანვე წინასწარმეტყველთა ნათქვამიც. სჯული უთუოდ უნდა იქმნას აღსრულებული შინაგნად სულიერად; არ წარხდება, არ დარჩება აღუსრულებელი სჯულის სულ მცირე ბრძანება — მოთხოვნილება.

ფარისეულებმა თავისებურად დაჰყვეს მცნებები მცირებად და დიდებად; მცირე მცნებების დარღვევა მათ ცოდვათ არ მიაჩნდათ, თუმცა ამ მცირე მცნებათა შორის იყვნენ მცნებანი შესახებ სი-

\*) იხილე „მედიანი“-ს № 1 და 2





მართლისა, მართსაჯულებისა და სიყვარულისა. ყოველი მცნების დარღვევა, მაცხოვრის სიტყვით, არის ცოდვა; ამიტომ დამრღვევი, თუ გინდ მცირე ცოდვისა, მცირედ ჩაითვლება სასუფეველში, ესე იგი სრულიად მოაკლდება მას, აღმსრულებელი მცნებისა დიდად ჩაითვლება სასუფეველში.

სიმაოთლე ქრისტეს მოციქულთა უნდა აღმატებოდეს ფარისევლების და მწიგნობრების სიმაოთლეს; ამათი სიმაოთლე კი იყო მოჩვენებითი, გარეგანი, უგულო. ამ გარეგნულ სიმაოთლეს ქვეშ იფარებოდა ბოროტება, ვერაგობა და ორგულობა.

კაცის მკვლელობის შესახებ. ანა კაც ჰქვია. ეს არის ერთი ათ მცნებათაგანი, რომელნიც მოსე წინასწარმეტყველმა მისცა ებრაელებს. იესო ქრისტემ განმარტა ამ მცნების უმადლესი და უსრულესი აზრი. თანახმად ძველი სჯულისა კაცის მკვლელი თანამდებ იყო სჯულისა, ე. ი. მისი საქმე უნდა გარჩეულიყო სამსჯავროში და ეს სამსჯავრო გამოსთქვამდა მსჯავრს კაცის მკვლელის შესახებ. იესო ქრისტეს ბრძანებით კი, ამ სამსჯავროს უნდა მიეცეს ის კაცი, რომელიც განურისხდება მოყვასს ცუდად, ანუ უბრალოდ, უმიზეზოდ, ამაოდ. იმ სასჯელის, რა სასჯელსაც ძველს აღთქმაში ეძლეოდა კაცის მკვლელი, ეხლა ეძლევა ყოველი უსაბუთოდ განრისხებული მოყვასზე. იესომ უმიზეზოდ განრისხება აღკრძალა. და რამქვამან ჰქვას ძმასა თვისსა რაკა\*), თანამდებ ანს კრებულისაგან განსვდისა. უფრო უმადლესი სასჯელის ღირსია ის კაცი, რომელიც მოყვასს ეტყვის—რაკა—ის ღირსია შესაკრებელიდან განსვლისა, ხოლო, ვინც უწოდებს ძმასა თვისსა ცოფ\*)—უგუნური—ის ღირსია გვენიის ცეცხლისა\*\*\*) ანუ ჯოჯოხეთისა.

\*) რაკა—ასურულითა ენითა, ვაი შენ, გინა სანერწყველ. საბას ლექსიკონი.

\*\*) ცოფი არის გონება და ცნობა მოძარცული.

\*\*\*) გვენია ეწოდებოდა ველს, რომელიც მდებარეობდა იერუსალიმიდან სამხრეთ დასავლეთის მხრით. როცა ებრაელები კერპთ თაყვანის მცემლები იყვნენ, აქ სრულდებოდა მოლოქის თაყვანის ცემა. მოლოქი იყო ასურელი ღმერთი. მისი კერპი იყო სპილენძისა, ხბოს თავიანი, სამეფო გვირგვინით შემკობილი. კერპს ხელები გაწვდილი ჰქონდა, თითქმის ვისიმე მისადებად; მას მსხვერპლად სწირავდნენ ბავშვებს. შიგნიდან კერპში ანთებდნენ ცეცხლს და როცა ის გახურდებოდა, ხელებზე უგდებდნენ ბავშვებს, რომლებიც

აზრი ამ განმარტებისა შემდეგია: უბრალო (ცუდი) განრისხება მოყვასზე მძიმე ცოდვაა, შეგინება განმარტებით გაკიცხვა და შეურაცხყოფა მოყვასისა იმოდენად დიდი ცოდვაა, რომ დამნაშავე ღირსია ჯოჯოხეთის უშრეტო ცეცხლისა. რაღა იქნება მაშინ კაცის კვლა?!

ქვემოდ ქრისტე ბრძანებს შესახებ იმისა, როგორ უნდა მოიქცეს კაცი ლოცვის და ღვთის მსახურების დროს, თუ იგი ნაჩხუბარია მოყვასთან, ან აქვს რაიმე უთანხმოება მასთან უკეთუ შესწირვიდე შესწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგესენხოს შენ, გითარცა ძმა შენი რამე გუფ ძვირ ანს შენთვის, დაუტევე შესწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეკე ზირველად ძმასა შენსა და მაშინ მივედ და შესწირე შესწირავი შენი. ფარისევლები და მწიგნობრები, რომელნიც ითვლებოდნენ ურიათა უფროსებად და ხელმძღვანელებად სჯულის საქმეში, დიდს ყურადღებას აქცევდნენ ლოცვაში და ღვთის მსახურებაში გარეგნულს მხარეს, შინაგანი სულიერი მდგომარეობა კი სულ უყურადღებოდ ჰქონდათ—დატოვებული. ქრისტე კი ბრძანებს, რომ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს გულის სიმაოთლეს და შინაგანს განწყობილებას. შესწირავი სათნოა ღვთისათვის მაშინ მხოლოდ, როცა იგი შეიწირება წმიდის გულით, როცა შემწირველი მშვიდობიან განწყობილებაშია მოყვასთან, უამისოდ შესაწირავს არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. ყოველი კაცი უნდა ეცადოს შეურიგდეს მოწინააღმდეგეს, რაც შეიძლება მალე, არ მიიყვანოს საქმე მსაჯულამდე, რომელიც მას სასტიკად დასჯის.

ზედ იხრაკებოდნენ. ბავშვების შესაზარი ტირილის და ყვირილის დასაფარად. მსხვერპლის შემწირველნი ასტეხდნენ ხოლმე საშინელს ხმაურობას და უკრავდნენ სხვა-და-სხვა საკრავებს. ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, მთლად შეიზილეს კერპთთაყვანის მცემლობა და მასთან ერთად ეს ადგილიც—გენია ნიშნად სიძულვილისა და ზიზღისა. ამ ადგილზე ჰყრიდნენ ხოლმე ყოველსავე უსუფთაობას ქალაქიდან და მკვდარი საქონლის მძორებს აქვე ხან-და-ხან დამნაშავეებსაც ახრჩობდნენ. ამის გამო ჰყერი აქ მუდამ მოშხამული და ცუდი იყო. აქ მუდამ ცეცხლი ენთო უწმინდურებათა დასაწველად და მას ეწოდებოდა ღელე ცეცხლისა, ანუ ცეცხლის ველი. ამის გამო ეს ადგილი იყო სახედ ჯოჯოხეთისა, საცა მუდამ ცეცხლი ანთია.





მრუშების შესახებ. (27—30). ძველს აღთქმაში მოსემ მისცა ურიებს მცნება—არა ამრუშა. იესო მაცხოვარმა ეს მცნებაც მრუშობის შესახებ აღამალა და სულიერად განმარტა. თუ ძველს აღთქმაში აღკრძალულია მრუშობა საქმით, ახალში მაცხოვრისაგან აღკრძალულია დედა-კაცის შეხედვა გულის-თქმით, აღკრძალულია მრუშობა არა მარტო საქმით, არამედ გულის-თქმით, აზრითაც კი, რადგანაც გულის-თქმაც მრუშებად. ითვლება, ამ მცნების განმარტებაში მაცხოვარი საშვალე-საც იძლევა ბოროტ გულის-თქმასთან საბრძოლველად: უკეთუ თვალი შენი მარჯვენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განსჯე შენგან... და უკეთუ მარჯვენე ხელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკვეთე იგი და განსჯე შენგან. (22—30). რასაკვირველია, აქ მაცხოვარი არ ამბობს მართლა სხეულის ნაწილების მოკვეთაზე. „იგი არსად არ ჰკიცხავს ხორცს, მაგრამ ყველგან ბრალსა სდებს გარყვნილს ნებას; თვალის საშვალეებით ხედავს გული და გონება“ (ოქროპირი). მარჯვენა თვალი და მარჯვენა ხელი არიან უძვირფასესი ნაწილები კაცის სხეულისანი; აქ ისინი აღნიშვნენ ყველაფერს, რაც კი ძვირფასია და სასარგებლოა ჩვენთვის და რაზედაც ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ბოროტი გულის-თქმის და განზრახვის აღმოსაფხვრელად, სიამოვნება იქნება, მახლობელი, თუ სხვა რაიმე.

შესახებ ცოლ-ქმრის გაყრისა (30—37). ღმერთმა მამა და დედა-კაცის გაჩენის დროს, შეაერთა ისინი და აკურთხა ქორწინებითი კავშირი ცოლ-ქმრისა, როგორც განუყრელი და დაურღვეველი, მაგრამ მოსეს დროის ურიების ცხოვრება შეიცვალა, ქმრები სასტიკად ექცეოდნენ ცოლებს და თითქმის დამონაგებულები ჰყავდათ. დედა-კაცის მდგომარეობის რაოდენადმე გასაუმჯობესებლად და შესამსუბუქებლად, მოსემ ნება მისცა ურიებს ქორწინების გაყრისა, მხოლოდ ქმარს უნდა მიეცა ცოლისთვის განსატყვებელი წერილი, რომელშიაც უნდა ყოფილიყო აღნიშნული მიზეზი ცოლის გაშვებისა, მაგრამ ეს კანონი ურიებმა ბოროტად მოიხმარეს და ძალიან ხშირად ეყრებოდნენ ცოლებს სულ უმნიშვნელო მიზეზების გამო. ამიტომ განსატყვებელმა წერილმაც დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა. ახალს აღთქმაში კი, იესო მაცხოვარი ბრძანებს, რომ ცოლისა და ქმრის გაყრა შეიძლე-

ბა მხოლოდ სიძვის სიტყვის, ე. ი. მრუშების მიზეზით, რადგანაც მრუშება, ანუ ღალატი თავისთავად სპობს ცოლ-ქმრულის კავშირს—და შეუ-რაცხ ჰყოფს მას. მაგრამ თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო გაეყრა ქმარი ცოლს, მან იმრუშა, რადგანაც ცოლს ეძლევა შეძლება სხვასთან ცხოვრებისა ცოცხალი ქმრის დროს და განტყვებულის შემოთველიც მრუშობს, რადგანაც კავშირი აქვს ქმრისან ქალთან. (33—32).

შესახებ ფიცისა. (33—37). ძველს აღთქმაში მოცემული იყო მცნება: არა ცილი ჰფუცო, ე. ი. არ იფიცო ტყვილად. ფიცი არის ნათქვამის სინამდვილის დამტკიცება ანუ დამოწმება ღვთის სახელით. ძველი აღთქმის მცნება მოითხოვდა, რომ ღმერთი დასჯიდა ცრუ ფიცის მთქმელს, რადგანაც ცრუ ფიცი იყო ღვთის სახელის შევიწება. ურიებმა ღვთის სასჯელის ასაცდენად გამოიგონეს სხვადასხვანაირი ფიფი—ფიცი ცით, ქვეყნით, იერუსალიმით, თავით თვისით და ეგონათ, რომ ამ ფიცის გატება შეიძლებოდა დაუსჯელად, რადგანაც აქ არ იყო ნახსენები ღვთის სახელი. მაცხოვარი განმარტებს, რომ ფიცი იერუსალიმით, ცით, ქვეყნით, თავით თვისით არის ფიცი ღვთის სახელით, რადგანაც ცა ღვთის საყდარია, ქვეყანა მიკვარცხლობეკი, იერუსალიმიც ღვთის ქალაქია, ხოლო თავისს თავზე და თვისს სიცოცხლეზე კაცს იმდენი უფლებაც კი არა აქვს, რომ ერთი ღერი თმა ან გაიშავოს ან გაითეთროს, ესეც ღვთის ხელშია. ამიტომ მაცხოვარი აღკრძალავს ფიცს უფაჯადვე. სიმართლის დასამტკიცებლად ქრისტიანმა უნდა იხმაროს მარტო სიტყვები „ჰე და არა“, ყოველივე მეტი ამაზე უკეთურისაგან არს.

შესახებ შურის ძიებისა. (38—42). ძველი აღთქმის მცნება. კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ, რასაკვირველია, იმიტომ კი არ იყო მოცემული, რომ ერთმანეთისთვის ეგლიჯნათ თვალები და ყურები, არამედ მისთვის, რომ შეეკავებინათ თავი ერთმანეთის წყენებისაგან, ერთმანეთის შეურაცხყოფისაგან. მაგრამ ეს კანონი მაინც არსებობდა და მოითხოვდა უმაღლესს განმარტებას, გაუმჯობესებას. ქრისტემ ამ მცნებას მისცა ასეთი აზრი: ბოროტებაზე კაცმა ბოროტებითვე არ უნდა აგოს პასუხი; სიყვარულით, მოთმინებით უნდა მივიღოთ მოწინააღმდეგეთაგან შეურაცხყოფა. სი-





ყვარული ქრისტიანისა მოყვასისადმი იქამდე უნდა მიდიოდეს, რომ გაჭირებულს თხოვნა აღუსრულოს ერთი ორად.

მოყვასთა სიყვარული. (43—48). სიყვარული მტერთა, კურთხევა მწყევართა, კეთილის ქმნა მოძულეთათვის და ლოცვა მოძალეთათვის არიან ისეთითვისებნიანი, რომლებიც ხდიან კაცს ზეციერი მამის შვილად და ასხეავენ მას მეზვერეთა და ცოდვილთაგან, რომლებიც კეთილს უშვებნიან და პატივს სცემენ მხოლოდ თავის პატივის მცემელთ და კეთილის მყოფელთ. მტერთა სიყვარული აყენებს კაცს სისრულის უმაღლესს საფეხურზე, რომელის მიღწევაც კი შეუძლიან მას.

წილეობა მიიღო პეტერბურგის სამიტრაპოლიტოს ქორ-ეპისკოპოსის ვენიამინის კურთხევაში.

ხმა დადის, ეპისკოპოსს კირიონს მოკლე ხანში კათედრას მისცემნო.

ვოსტორგოვის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარსაც მსვლელობა მიეცა. ვეჭილებად კირიონს მოწვეული ჰყავს სახელმწიფო სათათბიროს წევრი მაკლაკოვი და სხვა გამოჩენილი იურისტები. ეპისკოპოსმა კირიონმა სასამართლოს მოხელეებს განუცხადა, ვოსტორგოვის დასჯა კი არ მინდა, არამედ სიმართლის აღდგენაო.

17338

გაგრძელება ექნება

### ერიდეთ რუპესტრისს!

(მევენახეების საშუალებით).

### ეპისკოპოსი კირიონი და ვოსტორგოვი.

„რანნეე უტრო“-ში დაბეჭდილია: „ეს ორი თვეა, რაც პეტერბურგში სცხოვრობდა ეპისკოპოსი კირიონი. ეპისკოპოსი კირიონი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ერთი უკეთესი დამცველთაგანია. ზოგიერთ პირების ცილის წამების გამო ეპისკოპოს კირიონს კათედრა და პენსია წაართვეს და ტამბოვის გუბერნიის ერთ მიყრუებულ მონასტერში გაჰყვანეს.

როგორც გამოირკვა ეპისკოპოს კირიონს ამის საბუთებიცა აქვს, კირიონის წინააღმდეგ უმოქმედნია დეკანოზ ვოსტორგოვის. ეპისკოპოსმა უკვე მიმართა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს პროკურორს, სამართალში მიეცეს დეკანოზი ვოსტორგოვი ცილის წამებისთვისო.

უკანასკნელ დროს სინოდი, ცოტა არ იყოს, მოწყალეების თვალთ უყურებს კირიონს. კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სამართლიანმა მოხსენებებმა გამოააშკარავეს, რომ კირიონი უბრალოა და უსამართლოდ იტანჯებოდა.

ეხლა კირიონს წირვა-ლოცვის ასასრულებლადაც კი იწვევენ. მაგალითად 24 იანვარს მონა-

საკმაო ხანმა გაიარა უკვე, რომ ჩვენი ხალხი ამერიკული სანამყენე ვაზის ჯიშებს დაკვირვებოდა და შეგნებით მოკიდებოდა მათ მოშენებას, მაგრამ ეს ასე არ გამოვიდა და დიდ ზარალს განიცდის ის ამ დაუკვირებლობით. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ხალხის შეგნებას ამ შემთხვევაში ხელს უშლიან ნამყენი ვაზით მოვაჭრენი, რადგან ანგარიში დღეს ხელს არ აძლევს მათ დამყნან ვენახი სხვა ჯიშზე, გარდა რუპესტრისა. ამ უკანასკნელზე, როგორც შენიშნულია, ვაზი უკუღმა რომ დამყნა, მაინც გაიხარებს, მეტად ეხორცება და პირველ წელსვე საკმაოდ სრულდება (სხვილდება ნამყენი), სხვა ჯიშები კი შედარებით ძალიან ცოტა ხარობს და ამიტომ ნამყენით მოვაჭრენი მათ, ტყუილა რომ აჩუქო, არ კიდებენ ხელს. აბა, როგორ დასტოვებს დამყნელი რუპესტრის ჯიშს, რომლიდგან შემოდგომაზე ას დერ დამყნილ ვაზში მიიღებს ოთხმოცდათუთხმეტ გახარებულს— შეხორცებულ ძირს, და დამყნის რიპარიას, რომლიდგან გახარებულს და კარგად შეხორცებულ ნამყენს ამოიღებს მიწიდან არა უმეტეს ოცდა ხუთისა! აი, ამ ვაზის მოვაჭრეებმა დაუბნის გზა ხალხს, რადგან სხვა სანამყენე ვაზის ჯიშში აღარ დაანახეს თვალთ და სულ იმას ჩასჩინებენ, რომ რუპესტრისს არც ერთი ჯიშში არ მიუღებოა.





მე რომ მკითხოს კაცმა, სამართლიანი იქნებოდა გადაეწვათ თვით პატრონებსვე საქარის პიტომიკის ის ნაწილი, სადაც რუპესტრია დარგული, მთელი სანერგე ანანოვისა, კოლხიდის საზოგადოების და მრავალი სხვა, რადგანაც რუპესტრის ნამყენები შენდება.

ყველა ეს მათქმევინა მე თორმეტი წლის გამოცდილებამ. აი საქმე რაშია: საქარის სანერგეში ჯერ ისევ თესვით ამოყავდათ კაკლებიდან ამერაკული ვაზი და მხოლოდ ერთი წლის დარგული ქონდათ ღერათ გამოწერილი ამერიკული ვაზის ჯიშები როდესაც მე. სტაროსელსკის ვსთხოვე გამოეწერა ჩემთვის ამერიკული ვაზის შესაფერი ჯიშები და თან ჩემი ადგილის მიწის ნიმუშიც გავატანე საფრანგეთში (მაშინ სტაროსელსკი საფრანგეთში მიდიოდა.) მე, მეღმანს და ანანოვს ერთად მოგვივიდა ვაზის ჯიშები რუპესტრისი და რიპარისი. რადგან შევხედე, რომ დარგვაზედაც და დამყნაშიაც მეტი სიცოცხლე გამოიჩინა რუპესტრიმ, მას უფრო ყურდლება მივაქციე და თან სტაროსელსკისაც შევეკითხე—რომელმა უნდა აჯობოს ჩვენ მხარეში მეტი. მანაც რუპესტრი უფრო მიქო და ამ აზრს დავემყარე. ამიტომ ჩემი პირველი ვენახები, თელად რუპესტრიზე დამყნილი.

სოფელში ჩემს მაგალითს ყველამ წაბაძა, შეუდგენ მიწის გადაბრუნებას და ნამყენი ვაზის დარგვას, სხვათა შორის ერთმა ჩემმა მეზობელმა გამოიწერა ვაზი საქარის სანერგედგან და ნამეტნავად უკმაყოფილო იყო, რომ რუპესტრი ვერ ეშვავა—მიეცათ რიპარია და რიპარია-რუკესტრი (ეს ვაზი ჯორია რუპესტრისა და რიპარისი, ე. ი. შეილია ამ ორივე ჯიშისა). ამ მეზობელთან ერთად მაქვს მეც ადგილი ზომით და მიწის თვისებით სრულიად ერთნაირი, მაგრამ დაუკვრდით, რა სხვა და სხვაობა დაიკავეს ამ ვენახებმა, თუმცა დამყნილი ორივეზე ციკქაა და კრახუნა თანასწორი ანგარიშით. ჩემი ვენახი, რომელიც სულ რუპესტრის ნამყენიდან შესდგება, ძირად ძალიან გაღონიერდა და ისე დასქელდა ტოტებითა და ფოთლებით, რომ გავლა შეუძლებელია შიგ. თუ მუდამ ფოთლებს და ნამხრეებს არ აცლი, მზე მიწას ვერ დაინახავს და ამიტომ ვაზების ქვეშ იგი (მიწა) სულ სოველია, რის გამო ყვავილი დასცივავა, მტევნებს ნაცრავს და აღპობს, სიმწიფით არ ასრულებს და რადგან

მთელი ზაფხულის განმავლობაში, თვით შემოდგომის დამლევამდე, სულ იზრდის ფოთლებსა და ყლორტებს, ნაყოფის დასრულებისათვის არა სცალიან, ამიტომ მტევნებზე ნახევარი სრულია მარცვალი და ნახევარი წვრილი, რომლებიც კუხეთ რჩებიან. მოსავალმა ათი წლის განმავლობაში არ აღმატა წლიურად ას ფუთზე (ერთი ქცევა და მეოთხედია). ღვინოც მქავე და უხასიათოა. მეზობლის ვენახი კი (რიპარიაზე და რიპარია-რუპესტრიზე დამყნილი) ზომიერი ღონისაა, ვაზის გარშემომიწას მზე თავისუფლად დასცქერის, ყვავილობაზე ერთი კაკალი არ მოაკლდება, ზრდა შესწყდება ჩვეულებრივად ივნისის დამლევში, ისხამს ერთი სამად მეტს, ვინემ ჩემი ვენახი (მოდის 250 ფუთზე მეტი). მწიფობა იწყება თითქმის ორი კვირით ადრე და ერთბაშად მწიფდება ყვითლად (ჩემი მწვანეთ). წვრილი კაკლები არ აქვს, ყურძენი ბევრად გემოიანია და ღვინო შუდარებლათ ნაზი.

ასეთივე აღმოჩნდნენ, ჩემი დაკვირვებით, ეს ვაზები ყველგან სხვაგანაც, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ შორაპნის მაზრის მშრალ თბილ მიწებში რუპესტრის კიდევ არა უშავს რა, მაგრამ ქუთაისის მაზრაში და ნამეტურ გურიასა და სამეგრელოში სრულიად უვარგისია სინოტივის გამო, ყურძენი, ზოგიერთი ჯიშებისა მაინც, სრულიად არ მწიფდება. ამის შედეგი ისაა, რომ საგვიანო და უფრო საფასო ჯიშები, რუპესტრის წყალობით, ისპობა და რჩება მხოლოდ სამაჭრე, (არა საქველო) მდარე საადრო ყურძენი (ამათშიდაც მხოლოდ ისინი, რომელიც აგრე რიგათ არ ინაცრებიან). ამ გვარ ადგილებში შეუდარე ელია ამიტომ რიპარია, რომელსაც უყვარს ღრმა ნიადაგი (12 ვერშოკზე ნაკლები არ უნდა იყოს გადაბრუნებული მიწა). სასუქიც ძალიან უხდება, რიპარია ნაკლებათ ხარობს კირიან მიწებზე (სადაც თეთრი ფიქალი ანუ ფშენილი, პურის დაფქულის მზგავსი, თეთრი კირის მიწაა). ამ უკანასკნელ გვარის და ნამეტან მშიერ თირ (დიხაშხო) მიწებში ძალიან კარგია ზევით ნაჩვენები რიპარია-რუპესტრისი (ღ არა რუპესტრისი). დღევანდელი სანამყენე ამერიკული ვაზის ჯიშებში ესენი ყველაზე საუკეთესოა და ვისაც სასარგებლო ვენახების გაშენება უნდა, სხვა ნამყენი არ მიიკაროს





და გამყიდველების ქებას არ აჰყვეს, რომ სამერ-  
მისოდ ვენახი ასაჩეხად და ხელახლად გასაშენებლად  
არ გაუხდეს.

ვიმეორებ—დათხარეთ რუბესტრი და მოსპეთ  
ამ ქვეყნიერად.

სხვა გაზეთებსაც ვსთხოვ ეს წერილი გადაბეჭდონ.

რაფიელ ჩიხლაძე.

**ლია წერილი ფოთის კერძო სასწავლებლის  
გამგზავნიან ბასილიას.**

ბ. მირიან! თქვენსითანა განათლებულ და მა-  
ლალ ზნეობიან ადამიანს არ შეეფერებოდა, რაც  
ჩემს შესახებ მოიმოქმედეთ, მაგრამ ვფიქრობდი,  
რომ ეს გურული სიფიცხით და ახალგაზრდობით  
მოუვიდა, ჩაფიქრდება და უხეზხულ მდგომარეო-  
ბიდან თვითონ დაიხწვეს თავს მეთქი. სამწუხაროდ,  
ეს ჩემი მოლოდინი არ შემისრულდა და იძულებ-  
ული ვხდები მოგაგონო თქვენი საქმენი—საგმირო-  
ნი.

როგორ არ უნდა მოგაგონდეს, შე კაი კაცო  
თქვენი ბაქიაობა პედაგოგიური ნიჭის, რუსული,  
სწორწერის და „ღრამატიკის“ ცოდნის შესახებ\*),  
რომელითაც თქვენ მე მომმართეთ ქუთაისში, რო-  
დესაც ფიქრობდით ფოთის ჩემ სკოლაში მასწავ-  
ლებლად შემოსვლას. არც თქვენ ფლიდურ ლაპა-  
რაქს და არც ცუდ ხმებს, რომლებიც თქვენ შე-  
სახებ მესმოდა, ყურადღება არ მივაქციე და მას-  
წავლებლად მიგიღე ჩემს სკოლაში, რომლის გა-  
მართვაზე, რამდენი შრომა და ხარჯი გავსწიე,  
ვინ იცის?! მაგრამ სხვისი ხარჯი და შრომა თქვე-  
ნისთანა ადამიანებს ხომ მაინცა და მაინც არ აინ-  
ტერესებს?!

ვსწუხვარ ეხლა, რომ თქვენმა მაღალმა ფრაზებ-  
მა, ახალ ჰანგებზე მომართულმა, გულ-უბრიყვლოდ

\*) რა დაამწვენებდა რუსულ ენას ის მარგალიტები,  
რომელიც თქვენგან ჩემ სახელზე რუსულათ მოწერილ წე-  
რილშია ?!

გამხადეს და გაუსწორებელი შეცდომა ჩამადენინეს.

როგორ დამავიწყდება ის სურათი, როდესაც  
თქვენ, გაიგეთ თუ არა. რომ მე ძველი ნებარ-  
თვით ვსარგებლობდი ჯერ-ჯერობით და ახალი ნე-  
ბართყისთვის მხოლოდ მზად მქონდა ქალაღი,  
მთხოვეთ შემდეგი: „ახალ გაზრდა კაცი ვარ, ახა-  
ლი აზრების მიმდევარი და რომ სხვისთვისაც სა-  
სარგებლო ვიქნე, მდგომარეობაც ხელს უნდა მიწ-  
ყობდეს, ამიტომ, იმედია, უარს არ მეტყვი და  
შკოლის ნების აღებას მე დამითმობო, ჩემ სახელ-  
ზე გამოვიტანო“. მეც მართლა ახალი აზრების  
კაცი მეგონე და უარი აღარ გითხარი.

არ დამავიწყდება შემდეგი სურათიც, როდეს-  
საც თქვენ შემობრძანდით ჩემთან კლასში სწავლე-  
ბის დროს, ხელში გახეულ პაკეთიანი ქალაღით,  
რომელიც თურმე ნებართვა იყო და გამომიცხა-  
დეთ: „ამ წუთს იქით მე თქვენ შკოლაში ყოფნის  
ნებას არ გაძლევთო და თუ შეიძლებოდეს, კარში  
გაბძანდითო“.

ამ საქციელის ჩამდენთან მე რაღა მეტქმოდა,  
გარდა იმისა, რომ ანგარიში მოგთხოვეთ შემო-  
სული ფულის და პატიოსანი სიტყვა (კიდევ პა-  
ტიოსანი) მოსწავლეებზე დარჩენილ სასწავლო  
ქირისა და გამოვეთხოვე ჩემგან გამართულ საქმეს  
მედიატორებიდან გასამართლებამდე.

მაგრამ დახეთ! თურმე რამდენად დაეცემა კა-  
ცის ხასიათი ამ უკულმართ წუთი-სოფელში?!

მირიან! გადააფურთხე ეშმაკს და შეასრულე  
მედიატორების დადგენილება, წარსული წლის 4  
იანვარს შემდგარი, რომელი დადგენილებით თქვენ  
თავიდან ფეხამდის უმართლო დარჩით ჩემთან და  
დაგედვით გარდასახადი ჩემს სასარგებლოთ თვიუ-  
რად იმ სასწავლო წლის დასრულებამდე (წარ-  
სული წლის 1 იანვრიდან ენკენისთვის 14-დე)  
ხუთ ხუთი თუმანი, გარდა მოსწავლეებზე დარჩე-  
ნილ ფულისა.

გთხოვ უკანასკნელად, რომ ერთი თვის გან-  
მავლობაში პასუხი მომცე ამ წერილზე და დამა-  
კმაყოფილო. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება მექ-  
ნება დაგიძახო ექსპროპრიატორი—მასწავლებელი  
და სასამართლოს წესით ეს ანგარიში მოგთხოვო,  
ქუთაისში ანუ სადაც მე მესურება.

რაფიელ ჩიხლაძე.

1) ბატონი მირიანი ახალ აზრებს კი არა, ძველ აზ-  
რებსაც დიდზე ყოფილა დაშორებული, როგორც მისი მოქ-  
მედებიდანა სჩანს.

ასოთ-ამწყობის შენიშვნა.





# ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* პირველ თებერვალს ახალი ექსარხოსის წინაშე წარსდგა თფილისში დეკანოზი დავით ღამბაშიძე. ამ დღეს, როცა ექსარხოსი გამობრძანდა, მისაღებ ზალაში თითქმის ორმოცამდე სასულიერო და საერო პირები იყვნენ მთხოვნელები და ზოგიერთნი ისე წარსადგომად. პირველად მივიდა დეკანოზი დავით ღამბაშიძე და შემდეგი მოკლე სიტყვა მოახსენა:

თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ მშვიდობით შემობრძანება, ღვთისაგან მონიჭებულს საქართველოს ეკლესიის სამწყსოში და გისურვოთ ყოველივე სიკეთე და კეთილ-წარმატება. მე, როგორც მღვდელს, ღრმად მრწამს, რომ ყოველივე ბეჯი კაცთა ღვთისმსახურებისათვის ღვთისაგანვე წარემართება. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დანიშნა ასეთ საპატიო აღგილზე უფანგებოთ შეუძლებელია...

ღმერთმან მოგანიჭოს ძალა, სიბრძნე სოლომონისა, სიმშვიდე დავითისა და ყოველგვარი ცხოვრების გამოცდილება, რომ შესძლოთ მსახურება და გამგებლობა, თქვენდამი ღვთისაგან მონიჭებულის მთელი ივერიის ეკლესიის მწყემსთა და სამწყსოთა სადიდებლად ღვთისა, სასარგებლოდ ეკლესიისა და მამულისა და სანუგეშოდ დაბეჭვებულ მწყემსთა და მათ სამწყსოთა.

მათმა მგუფებამ, საქართველოს ექსარხოსმა, მთავარ ეპიკოპოსმა ინოკენტიმ დეკანოს დ. დავით ღამბაშიძეს უთხრა: „გმადლობთ თქვენის გრძობით სავსე მოლოცვისათვის. მე ძლიერ მსურდა თქვენი ნახვა და მოხარული ვარ, რომ განახეთ. იმედი მაქვს დაგვენმარებით ყოველს შემთხვევაში, აღვიკურნეთ ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი სიყვარულობით, რომ შევსძლოთ მსახურება ეკლესიისა და მამულისა. ქრისტიანობრივი ჭეშმარიტის სიყვარულით ჩვენ ყოველივე დაბრკოლებას დავსძლევთ“...

\* \* მანამ დემურას დაკრძალვა კვირას, 24 იანვარს, დაკრძალეს ცხედარი მარიამ დემურიასი. ცუდი ამინდი იყო, მაგრამ ხალხი მაინც მრავალი დაესწრო. ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში

გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. 12 საათი იქნებოდა, ცოცხლის ყვაილებითა და გვირგვინებით შემკული კუბო ტაძრიდან გამოასვენეს ხელით და სამგლოვიარო პროცესია გაემართა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოვსაკენ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გრძობიერი სიტყვა წარმოსთქვა ნ. ყ. თავდგირიძემ, რომლითაც დაახასიათა განსვენებული როგორც საზოგადო მოღვაწე. პროცესიამ გაიარა მიხეილის ქუჩა და შეეზვია მილიუტინის ქუჩაზე. ავჯალის სახალხო აუდიტორიის წინ ცხედარი მცირეს ხნით შეაჩერეს. გადახდილ იქმნა მცირე პანაშვიდი. აქ სცენის-მოყვარეთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა გ. ანანიაშვილმა. ორი საათი იქნებოდა სამგლოვიარო პროცესია კუკიის სასაფლაოზე ავიდა. ცხედარი ეკლესიის წინ დაასვენეს. აქ გადაიღეს სურათი და შემდეგ წარმოითქვა სიტყვები. „ნაკადული“ რედაქციის მხრით მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ვახტანგ ღამბაშიძემ, სიტყვის დასასრულს „ნაკადულის“ რედაქციის სახელით აღთქმა დასდო განსვენებულს, რომ რედაქცია ყოველივე ღონეს იხმარს და განაგრძობს იმის რედაქტორობით მკვიდრს ნიადაგზე დაყენებულ საბავშვო ჟურნალის გამოცემას. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს კავკასიელ ქალთა საზოგადოების სახელით ქ. ნმა ტყეშელაშვილმა, ბ. ნ ჯავახიშვილმა, ლ. ორთქიფანიძემ, მუშების სახელით, ი. ი. იმედაშვილმა. საფლავის წინ სიტყვა წარმოსთქვა მამაკარბელაშვილმა. სამ საათზე ხალხი დაიშალა. განსვენებულის ცხედარი შეამკეს გვირგვინებით; წ. კ. საზოგადოების გამგეობამ, დრამატიულმა საზოგადოებამ, ქალაქის თვით მმართველობამ, სათავდასუნაურო გიმნაზიამ, პატარა მკითხველებმა, წარმოდგენების მართველმა წრემ, „დროება“, „ნაკადულმა“ სომხურმა სცენის მოყვარეებმა, ნაცნობებმა და პატივისმცემლებმა. სომხურ საყმაწვილო ჟურნალის „ჭასკერის“ რედაქციამ, გვირგვინის ნაცვლად 15 მანეთი გადასდო „ნაკადულის სამი ცალის გამოასწორად ქართულ ღარიბ დაწესებულებისთვის (სკოლისა, სამკითხვნლოსა ან სხვასთვის). განსვენებულ მარიამ დემურას გარდაცვალების გამო მრავალი სამძიმრის დებეშა მოვიდა. მიღებულ იქმნა შემდეგი დებეშები: ბაქოდან—წ. კ. საზოგადოების ბაქოს განყოფილებისა, გაზეთ „მარცვლისა“, ქალთა წრისა და თაქთაქიშვილისაგან;



ქუთაისიდან — რ. კანდელაკისა, ნატალია ლორთ-  
ქიფანიძისა, ნიჟარაძისა და ი. კვიციანიძისაგან; ბა-  
თუმიდან — ს. ნაკაშიძისაგან; ცხინვალიდან — ნ. და  
ი. მაჭავარიანებისაგან; სოხუმიდან — წ.-კ. საზოგა-  
დოების სოხუმის განყოფილებისაგან; ახალციხიდან  
— ქართველ საზოგადოებისაგან; თელავიდან — პაა-  
ტაშვილისაგან; მოსკოვიდან — სოფიო ჩიჯავაძისა,  
ცაცა ამირაჯიბისა, გრიგოლ ლალიძისა და დავით  
კარიჭაშვილისაგან; კიევიდან — ქართველ სტუდენ-  
ტობისაგან; კასპიდან — ანას. ამილახვრისაგან; ქია-  
თურადან — ქალთა სასწავლებლისაგან; ეკატერინე-  
ფელიდან — გენო და დავით ქარულაშვილებისაგ-  
ან.

\* \* 25 იანვარს ტფილისში ჩამობრძანდა საქრ-  
თველოს ახალი ექსარხოსი, მთავარ ეპისკოპოსი  
ინოკენტი. დილის ათი საათი იქნებოდა, მოვიდა  
ბაქოს მხრიდან მატარებელი. ვაგონიდან ექსარხოსი  
სამეფო დარბაზში შევიდა, სადაც მიეგებნენ აღმი-  
ნისტრაციის, თავად-აზნაურობის და ქალაქის თვი-  
თმართველობის წარმომადგენელი. გარედ ამქრების  
უსტაბაშები იდგნენ თავიანთის ნიშნებით. სადგურზე  
ექსარხოსი ღია ლანდოში ჩაჯდა და მიხეილის  
ქუჩით, ვერის ხილით და გოლოვინის პროსპექტით  
გაემართა სიონის ტაძარში. ექსარხოსს წინ მიუძ-  
ლოდნენ პოლიცმეისტერი, ცხენოსანი ყაზახები,  
ხოლო ლანდოს მისდევდნენ ცხენოსან ჟანდარმთა  
რაზმი. აღმინისტრაციის განკარგულებით, ქუჩებში  
გამომწკრივებულნი იყვნენ ყველა სასწავლებლის  
მოსწავლენი. სიონის ტაძარში ხალხს ბილეთით  
უშვებდნენ. 12 სათზე სიონის ტაძარი უკვე სავსე  
იყო ქალაქის სამღვდლოებითა და სხვა და სხვა  
დაწესებულების წარმომადგენლებით. ექსარხოსს  
სიტყვით მიესალმა ბაქოს ეპისკოპოსა გრიგოლი.  
ტაძარში გადახდილ იქმნა მცირე პარაკლისი, რომ-  
ლის შემდეგ ექსარხოსმა ვრცელი სიტყვა წარმოს-  
თქვა. მან თავის სიტყვაში ის აზრი გამოხატა, რომ  
იგი მთელს თავის ძალ-ღონეს მოანდომებს ქრისტეს  
ძირითად და დიდებულ მცნების — სიყვარულისა და  
მშვიდობიანობის — განმტკიცებას კაცთა შორის, რა-  
დგან ქრისტიანობის წინაშე არ არის ურია. არც  
ელინი, არც ბარბაროსი, არც ბატონი და არც  
მონაგო. ჩვენ ყველანი ერთნი ვართ და საერთოდ  
უნდა ვცდილობდეთ ქრისტეს მოძღვრების შეთვი-  
სება-განმტკიცებასა და განხორციელებასა. სიონის

ტაძრიდან ექსარხოსი სამღვდლოებითურთ ლიტა-  
ნიით ექსარხ. სასახლეში გაემგზავრა. მცირე პარ-  
კლისის შემდეგ დარბაზში ექსარხ. წარუდგნენ  
სასულიერო, სამხედრო და სამოქალაქო დაწესე-  
ბულებათა წარმომადგენელი. სხვათა შორისო ექ-  
სარხოსს სიტყვით მიმართა ტფ. ქალაქის თავის  
მოადგილემ ალ. ი. ხატისოცმა, რომელმაც მიულ-  
ოცა მშვიდობით ჩამოსვლა და ისურვა, რომ ახალმა  
ექსარხოსმა წამალი დასდოს საქართველოს ეკლესიის  
ჭრილობებს, რაც ხელს შეუწყობს ერთგვებათა  
სოლიდარობას და კეთილ განწყობილებას. პატ-  
რიოტულმა საზოგადოებამ ექსარხოსს მოაგონა  
„თავისი მოღვაწეობა სარწმუნოებისა და მთავრობიმ  
წინაშე“ და კურთხევა გამოსთხოვა. ექსარხოსს  
უპასუხა პატრიოტულ საზოგადოების დებუტატებს:  
კარგად ვიცი თქვენი მოღვაწეობა; თქვენს ორგ-  
ანიზაციას დროული და წარმატალი ხასიათი აქვს.  
თქვენ უნდა მუდამ უცვლელ და მტკიცე ნიადგს  
მიმართოთ. ეს არის ქრისტეს მცნება მოყვასთა  
სიყვარულისა. ნაშუადღევს 2 საათზედ ექსარხოსი  
სადარბაზოდ ეწვია კავკასიის ნამესტნიკს. ნამესტნი-  
კმა გუშინვე გადაუხადა დარბაზობა.

\* \* კირონ ეპისკოპოსზე პეტერბურგის გაზეთებ  
ში დასტამბულმა წერილებმა სინოდის წევრთა შორის  
დიდი მიოქმა-მოთქმა გამოიწვია.

\* \* არქიმანდრიტი ამბროსი დანიშნეს ნოვეგორ-  
ოდის გუბერნიისში, სტარაია რუსის მონასტრის  
წინამძღვრად. საქართველოში წასვლის ნება (ცოტა  
ხანით) არ მისცეს.

\* \* ჩოგოვაძის კარდაცვალება. 31 იანვარს თი-  
ლტვების ანთებით გარდაიცვალა მელიტონ ჩოგო-  
ვაძე, ქუთაისის ოთხკლასიანი სასულიერო სასწავ-  
ლებლის მასწავლებელი. ჩოგოვაძე გარდა ამ სას-  
წავლებლისა ასწავლიდა ქუთაისის კლასიკურ გიმ-  
ნაზიაში ქართულ ენას; ამავე დროს იყო დანიშ-  
ნული ინსპექტორად გაბრიელის სახელის ეპარქია-  
ლური სასწავლებლისა და მის მასწავლებლად.  
ძლიერ გასაოცარი იყო მასწავლებლებისათ-  
ვის, თუ როგორ ასწრობდა ეს კაცი ყოველგან გა-  
კვეთილების მიცემას.

განსვენების დღეს კვირას 7 თებერვალს ბევრი  
ხალხი დაესწრო განსაკუთრებით შაგირდები. ყველა  
კლასების მოწაფეებს მიართმევენეს გვირგვინები.  
აკაკი წერეთელმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა.  
მან უთხრა საზოგადოებას, რომ ჩოგოვაძისთანა  
მოღვაწეები საუკუნოებით იბადებიან. და მიკვირს  
რომ სხვა ქალაქებიდანაც დღეს ვერავის ვხედავ  
აქაო. იმედია ამ შესანიშნავი კაცის მოღვაწეობაზე  
ცალკე წიგნი გამოიცემა.





მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის ორ-  
კვირულ შურონალს

XXVII წ. „მწეპის“-ზე XXVIII წ.

ქურონალის ფასი:

12 თვით 3 მან.—6 თვით 2 მან.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა  
ვერილაში—რედაქციაში.

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის  
შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ ინვარს  
1 მ. პირველ აპრილს 1 მ. ლ პირველ ივლისს 1 მ.  
სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთი დაე-  
თმობათ მთელის წლით ორ მანკთად.


ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

რედაქცია იმყოფება დ. ვერილაში რედაქტო-  
რის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ქურონალის დაბარება შეუძ-  
ლიათ ამ აღრესით: ВЪ Квирилы, въ редакцію  
журнала „МЦЕМСИ“.

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მწეპის“-სა, რომელ-  
ნიც მანეთნახევრად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე მრავალ-გვარი  
საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი.  
რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დ. დამბაშიძე.



იაკოვ ვოგობაჟოვილის წიგნები:

დედა-ენა, შეჩვიდმეტე გამოცემა, 278 ათასი.  
წიგნი სახელ-გაკეთებულია (рекомендована) სამინი-  
სტროსაგან მოწონებულია და სინოდისაგან. ფასი  
ყლით ორი აბაზი.

ბუნების-კარი. მეთორმეტე გამოცემა, 62 ათასი,  
სახელ-გაკეთებულია (рекомендована) სამინისტრო-  
საგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო“,  
და მოწონებულია სინოდისაგან. ფასი ყლით ოთხი  
აბზი.

კოკორი, მეთორმეტე გასოცემა, 60 ათასი. მო-  
წონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან. ფასი  
ორი აბაზი.

სომღი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრებული,  
მეორე გამოცემა, 2,400 ცალი. მოწონებულია  
ორისავე უწყებისაგან. ფასი ექვსი შაური.

კუნწულა, ანუ კრებული რჩეულის მოთხრო-  
ბებისა ევროპისა და რუსეთის მწერლებისა, 1,200  
ცალი. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდი-  
საგან. ფასი ორი აბაზი.

იაგნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა, ცხრა სურათით,  
გამოცემა მესამე, 7,200 ცალი. ფასი ერთი შაუ-  
რი.

სატის მიზეზი, მოთხრობა, 1,200 ცალი. ფა-  
სი ერთი შაური.

თავდადებულნი ქართველნი, მეორე სურათები-  
ანი გამოცემა, 8,600 ცალი. ფასი 7 კაპ.

მოსავლის მტველნი, ანუ სასარგებლო ცხოვე-  
ლები და ფრინველები სურათებიანი გამოცემა,  
2,400 ცალი. ფასი ერთი აბაზი.

ერეკლე მეფე და ინგილო ქაღი, ისტორიული  
მოთხრობა, 6,000 ცალი, ორი სრუათით. ფასი  
ერთი შაური.


სხივი წარსულისა, ისტორიული ამბავი, 2,400  
ცალი. ფასი ერთი შაური.

საარჯკო თავგადასავალი, 1,200 ცალი. ფასი ორი  
შაური.

ძირითადი უკუდმართობა, 1,200 ცალი. ფასი  
ერთი აბაზი.

აკიდო, ანუ კრებული საყმაწვილო და სახალ-  
ხო მოთხრობათა, გამოცემა წიგნების გამომცემე-  
ლის ქუთათურის ამხანაგობისა. ფასი სამი შაური.

„დედა-ენის“, „ბუნების-კარის“, „ძოკორისა“,  
„აკიდოსი“ და „Русское Слово“-ს გარდა ყველა  
სხვა აქ ჩამოთვლილი წიგნები რიცხვით თექვსმეტი  
ავტორს შეწირული აქვს წერა-კითხვის საზოგადო-  
ებისთვის.





# ი ს ყ ე ბ ი ა ნ

## დამანოზი ღვით დამაზიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ყვირილაში—*«მწყემსი»*-ს რედაქციაში.

### 1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. **ლოცვანი** ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უძთაერესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს თვეთა-მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვე. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 25 კ. და უყდოთ . . . 20 კ.
2. წესი სწეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვილისა, ფასი . . . 10 კ.
3. **სოცხალთა** და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . . 20—
4. **ძონდაკი** იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 30 კ. კარგი ყლით . . . 50 >
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 >
6. საქართველოს ეკლესიის წმიდანები რუს. 5 „

### 2. სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. ღარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, პირველი ნაწილი უყდოთ 25 კ. ყლით 30 კ. მეორე ნაწილი უყდოთ 25 კ. ყლით 30. როივე ნაწილი ერთად ყლით . . . 60 კ.
2. დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
3. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 30 კ
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საქირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყლით . . . 20 კ

### 3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალა კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, ღოწო-

ნებული და ნება-დართულია კავკასიის საეკიმო რჩევასაგან ყლით ფასი . . . 1 მ. უყდოთ . . . 60 კ.

2. ღარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის საუბარი . . . 5 კ.

### 4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი . . . 15 კ.
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. იგივე რუსულ ენაზე . . . 20 „
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი . . . 5 კ.
4. **მთავარ-მოწ. ღვით** და **კონსტანტინე** და **მოწამეთის მონასტერი**.—ფასი . . . 5 კ. იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
5. პარძიის მონასტერი, ფასი . . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

### 5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა სწავლად დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . . . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . . 2—
3. ამალღება პატიოსნისა და ცხაველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . . 2—
4. შობა უფლისა . . . 2 კ.
5. მირჩხა უფლისა, სურათით.—ფასი . . . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . . 2—
9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ხელთუქნელი ხატის ისტორია . . . 3 კ.

### 6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქარ-

თველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაქდენი, სურათით, ფასი . . . 3 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი . . . 2—
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . . . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . . . 5—



- 5. გიორგი მთაწმიდელი . . . . . 10—
- 6. იოანე ზედაზნელი . . . . . 5—
- 7. შუშანიკა . . . . . 2—
- 8. ქეჩეველ დედოფალი . . . . . 2—
- 9. არჩილ და ლუარსაბი . . . . . 5—
- 10. წმიდა ნინო რუსულად . . . . . 8—

**7. რელიგიური და სწავლებითი შინაარსის წიგნები და საუბრები:**

- 1. წმიდანი ალვადელ-მთაწარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ლეთის-მეტყველი და იოანე მოქრაკიტი, სურათებით—ფასი 5—
- 2. როგორ უნდა ემარხულობდეთ — ფასი . 2—
- 4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი . . . . . 5—
- 5. სიკვდილი მართლისა, კონსტანტინე-ტაის მკვლელობის წიგნი . . . . . 5—
- 6 ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარი შესწავლა იესო ქრისტესი . . . . . 3—
- 7 შეილებს მოვალეობა მშობელთადმი . . . . . 3—
- 8 მშობლების მოვალეობა შეილთადმი . . . . . 3—
- 9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერი და როგორ უნდა ვსძლიოთ მათ . . . . . 3—
- 10 იუდეებდით საუბრესა ცათაშინა . . . . . 3—
- 11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . . . 3—
- 12 — ზრომაზე . . . . . 3—
- 13. სამგვარი სიკვდილი . . . . . 5»

**8. მოთხრობანი დაბადებიდან.**

- 1. მამა სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 2. მსტერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
- 3. სიბრძნე იესო ძისა ზირაქისა, სურათით. . . . . 5—
- 4. იოსები . . . . . 5—
- 5. მრავალ წამებული იობი . . . . . 5 კ.

**11. მხატვრობანი სას. და საერო მოღვაწეთა.**

- 1. შოთა რუსთაველი. . . . . 25 კ.
  - 3. თამარ მეფე . . . . . 25 კ.
- იმეკონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

**ხატები და მხატვრობანი.**

იმეკონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, ივერიის ღვთ-ს-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართლო-ში ყველგან ფოსტის გასავაჭენი არა გარდახდება ამასთან იმეკონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოც 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუხნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასავაჭანს არ იხდის.

იმეკონება აგრეთვე მრავალი პატარა გულ საქ-დი ხატები ფერკადუვალი ლათონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესა, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოც 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობა სამ მან. ესეთი იმეკონებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

**ყურნალის „მწყემსი“-ს**

**ს ტ ბ მ კ ბ**

(დ. დ. ლამბაშიძისა)

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ ზაკაზებს. სტამბა ასრულებს სამუშაოს სუფთად და დროზე, ძლიერ დაკლებულ ფასებში.

სტამბა იმყოფება დაბა ყვირილაში ლამბაშიძის საკუთარ სახლებში.

Доволено Цензурою 15 Февраля 1910 года г. Кутаись  
რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე,

სტამბა-ყურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.